მირანდა თოდუა[1], ნონა ქეცბაია[2]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.14

ლომის სიმბოლიკის მხატვრულ-მეტაფორული გააზრება

აბსტრაქტი. სიმბოლო, ერთი მხრივ, შეიცავს ინფორმაციას, ცოდნას ამა თუ იმ პიროვნების, ჯგუფის, საგნის ან ინსტიტუტის შესახებ, მეორე მხრივ, კი იწვევს ემოციურ განცდას. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, შეხედულება, იდეა თუ რწმენა სიმბოლოთი გამოიხატება. სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი უძველესია ლომი. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ძლიერს, გულადს, უშიშარს.. ლომ- ძირისგან არაერთი სახელია მიღებული. ლომი, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, აქტიურად გამოიყენება იდიომებში, ფრაზეოლოგიზმებსა და შესიტყვებებშო. ხშირად გვხვდება სიტყვა ლომი ანდაზებში. საკუთარი სახელის, ლევან-ის, ქართული ფორმაა ლეონ-ი, რომელიც ლომს ნიშნავს. ლომი ღვთაებრივი ბუნების მატარებელ ცხოველად მიიჩნეოდა, კანის ფერმა კი ის მზესთან დააკავშირა. ახლო აღმოსავლეთის ტაძრებში ლომის სიმბოლოს გამოსახულებიანი დომინანტი სიუჟეტები ემსგავსება ამავე პერიოდის საქართველოში ფიქსირებულ ლომის გამოსახულებიან სიუჟეტებს. ლომის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში წარმართულ პერიოდში მის მძლავრ ფესვებს უკავშირდება და ეს აისახა ახალ რელიგიაშიც. ამაზე მეტყველებს წარმართული და ადრექრისტიანული პერიოდების ლომის გამოსახულებიანი სიუჟეტების ხასიათის უწყვეტობა.

საინტერესოდაა გადმოცემული ლომის მეტაფორა სასულიერო მწერლობაში. ის რიგ შემთხვევაში ქრისტეს მეტაფორაა (მაგ. ლომის მიძინება ქრისტეს ადამიანური ბუნების სიკვდილის აღმნიშვნელია), ხოლო რიგ შემთხვევაში ბოროტი ძალის აღმნიშვნელია. აგიოგრაფიაში უფრო ხშირად

---

[1] **მირანდა თოდუა,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
[2] **ნონა ქეცბაია,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ვხვდებით მაგალითს ასკეტის ზეგავლენისას ყველაზე უველურესსა და უსაშინლეს მხეცზე - ლომზე. ამ ფაქტების გადმოცემისას აგიოგრაფები გარკვეული ტენდენციით ხელმძღვანელობდნენ, მათ სურდათ ამგვარი ფაქტებით ეჩვენებინათ სიდიადე ქრისტიანული მორალისა, რომლის მატარებელნი თითქოს მხეცებზედაც კი ახდენდნენ გავლენას.

საკვანძო სიტყვები: აგიოგრაფია, ლომი, სიმბოლიკა, მხატვრული, მეტაფორა, სასულიერო, მწერლობა, მიძინება, ქრისტიანობა, მორალი.

Miranda Todua,[3] Nona Ketsbaia[4]
Sokhumi State University

Artistic and Metaphoric Symbolism of a Lion

Abstract. A symbol from one point includes an information, knowledge about any person, group. Subject or institution, from the other, it brings an emotion. Any action of a person, his/her point of view, idea or belief is expressed by the symbols. One of the ancient symbols is a Lion. Allegorically it is interpreted as strong, brave, fearless. From the root LOM/ლომ a lot of names have been originated. A lion, as one of the components, is actively used in idioms, phrases and collocations. Lomi/ლომი“ – a lion is frequently used in proverbs. In Georgian, a personal name Levan is formed as Leon, which means a lion. A lion was perceived as an animal of a divine meaning, and the color of its coat connected it with the sun. In the temples of the Near East, an image of a lion dominates, which resembles to the fixed image themes of a lion, for the same period Georgia. A lion, distributed in the pagan period Georgia as a Christian Symbol, is connected to its strong roots and it is also expressed in the new religion. It is also shown in the ceaseless themes of a lion in the pagan and epichristian periods.

A metaphor of a lion is interestingly expressed in the ecclesiastic literature. In some casesiut is a metaphor of the Christ (eg.: dormiation of a lion means the death of a human nature of the Christ), and sometimes it expresses an evil’s power. In hagiography mostly is met an example while the impact of an Ascetic wildest and horrible beast – a „Lion“. When talking about these facts the hagiographists are guided by a certain tendencies. With these facts they wanted to show the greatness of Christian moral, as though the bearers of which had an influence on the beasts.

Key words: hagiography, lion, symbolism, artistic, metaphor, sacred, writing, Dormition, Christianity, Morality.

---

[3] **Miranda Todua,** Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.
[4] **Nona Ketsbaia**, Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

ძირითადი კვლევა. მსოფლიოს ემბლემები და სიმბოლოები მართავენ და არა სიტყვა და კანონი (კონფუცი). სიმბოლო ლაკონიურად ასახავს საგანს, მოვლენას, ცნებას, რომლის გამოხატვასაც მრავალი სიტყვა დასჭირდება. სიმბოლოს დიდი ძალა და ზემოქმედების უნარი აქვს. ის, ერთი მხრივ, შეიცავს ინფორმაციას, ცოდნას ამა თუ იმ პიროვნების, ჯგუფის, საგნის ან ინსტიტუტის შესახებ, მეორე მხრივ, კი იწვევს ემოციურ განცდას. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, შეხედულება, იდეა თუ რწმენა სიმბოლოთი გამოიხატება. სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი უძველესია **ლომი**, მოყვითალო ფერის დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. ხვადისთვის დამახასიათებელია ხშირი ფაფარი. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ძლიერს, გულადს, უშიშარს, გამბედავს. ლომი ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედის სახელიცაა. **ლომ-**ძირისგან არაერთი სახელია მიღებული: ლომგული, ლომგმირი, **ლომისა** ძველი რელიგიური ტერმინია და აღნიშნავს მთიულ-გუდამაყრელების მთავარ სალოცავს, **ლომისკბილა** ბოტანიკური ტერმინია, მრავალწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა (ქეგლ, 1950-1964: 56).

ლომი, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, აქტიურად გამოიყენება იდიომებში, ფრაზეოლოგიზმებსა და შესიტყვებებში: ლომის ხახაში აღმოჩნდა, ლომის კლანჭებში ჩავარდა, ლომის წილი...(სახოკია, 1979: 24**).**

ხშირად გვხვდება სიტყვა **ლომი** ანდაზებში: ,,მელიის მფარველობასა ლომმა შემჭამოს სჯობიაო"; „უსწავლელი გონიერი მიჯაჭვული ლომიაო"; „საკუთარ ეზოში ყველა ძაღლი ლომიაო", „მკვდარი ლომისა კურდღელსაც არ ეშინიაო"; „მარტი ლომივით მოდის, კრავივით მიიპარებაო"; „ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო"...

საკუთარი სახელის, **ლევან**-ის, ქართული ფორმაა **ლეონ**-ი, რომელიც **ლომს** ნიშნავს. ცხოველთა მეფის სახელწოდება ბევრ ევროპულ ენაში ძველეგვიპტური ლებუ-საგან მომდინარეობს; ასეთია, მაგალითად: ბერძნული ლეონ, ლათინური ლეო, გერმანული ლიოვე, რუსული ლევ... სავარაუდოდ, აქედანვეა ქართული ფორმა ლომი. იგი, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი, საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება, მაგრამ ეს სახელი რომ გავრცელებული ყოფილა ხალხში, ამას მოწმობს მრავალი გვარი (ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური და სხვანი). საეკლესიო კალენდარში ეს სახელი შეტანილი იყო ბერძნული ფორმით: ლეონ. მასვე უკავშირდება ლეო და ლევან ფორმები. ამათგან მომდინარე გვარებია: ლეონიძე, ლევიძე, ლევიშვილი, ლევანიშვილი და სხვ. **ლომს** უკავშირებენ სვანეთის დროშას,

ლემს (ლომი), რომელიც, გადმოცემით, ბრძოლის დროს წინ უძღოდა სვანეთის ლაშქარს. ლემი ზოომორფული დროშაა. ეს არის ყვითელი აბრეშუმისგან შეკერილი ცხოველის ფორმა, რომელიც მოძრაობისას ჰაერით ივსება და ლომის სახეს იღებს. მისი მფლობელი იყო ხევის უფროსი, რომელსაც **მელომე** ეწოდებოდა. ლემი გამოჰქონდათ „ჰულიშობის“ დღესასწაულზე. ამ დროს ტარდებოდა დროშიანი დოღი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. თუ დოღში მელომე გაიმარჯვებდა, ეს ხევისთვის სასიკეთოდ მიაჩნდათ. თუკი ჰულიშობას ლომი კარგად გაიბერებოდა და გაიშლებოდა, ეს დიდი ბედნიერებისა და კარგი მოსავლის მომასწავებელი იყო. დროშა სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახებოდა, მისი ვერცხლის ოქროთი დაფერილი ჭედური ბუნი კი დაცულია სვანეთის მუზეუმში.

ლომი ღვთაებრივი ბუნების მატარებელ ცხოველად მიიჩნეოდა, კანის ფერმა კი ის მზესთან დააკავშირა. მისი სიმბოლო გვხვდება როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ სამყაროშიც.

სიმბოლო სხვადასხვა რელიგიაში, მათ შორის ქრისტიანობაშიც, ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე სიმბოლო საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალება გახდა. პირველი ქრისტიანული გამოსახულებები მთლიანად ბიბლიური ამბებით საზრდოობდა. ხშირად გადმოიცემოდა არა მხოლოდ ძველი ან ახალი აღთქმისეული ისტორიები და სიუჟეტები, არამედ წინასწარმეტყველთა და იესოს ქადაგების გამომხატველი სიმბოლოებიც.

ქრისტიანული სიმბოლოების გამომხატველ საგნებში ნათლად აისახებოდა ახალი რელიგიის იდეოლოგია და დამოკიდებულება წარმართულ გარესამყაროსთან. თითოეულ მათგანზე ეპოქის კვალი ჩანს და ამ თვალსაზრისით, სიმბოლოები ქვეყნის კულტურული მდგომარეობისა და გარესამყაროსთან ურთიერთობის ნიშნის მატარებელია.

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეემნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოეუა წინათ მგელი და უკანათ ლომი“, - გადმოგვცემს ჯუანშერი (ჯუანშერი, 1955: 180). ძალაუფლების მქონე ადამიანის გამოხატულებად ლომის წარმოჩენა ძველი მსოფლიოსთვის უცხო არ არის. ახლო აღმოსავლეთის ტაძრებში ლომის სიმბოლოს გამოსახულებიანი დომინანტი სიუჟეტები ემსგავსება ამავე პერიოდის საქართველოში ფიქსირებულ ლომის გამოსახულებიან სიუჟეტებს. ადრექრისტიანული პერიოდის ლომის გამოსახულებიანი რელიეფები წარმოდგენილია ქვემო ქართლიდან და აფხაზეთიდან. მათგან, პირველ

რიგში, აღსანიშნავია ბოლნისის სიონის პილასტრის კაპიტელი. იგი გამოსახავს უკანა ფეხებზე ჩაჩოქილ ორ ლომს, რომელთაც მომწყვდეული ჰყავთ „ოთხით“ მორბენალი ირემი. სამივე ცხოველის უკან კი გამოსახულია ფოთლოვანი ხეები. აღნიშნული რელიეფის მხატვრულ-სტილისტური ანალიზისას მკვლევარები მას სასანური კულტურის გავლენით შექმნილად მიიჩნევდნენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ის დეტალი, რომელიც, ერთი შეხედვით, სასანური კულტურის ნაწილად გამოიყურება, გააზრებულად და ქართულ ტრადიციებთან შესაბამისად უნდა ასახულიყო ქართველ ოსტატთა ხელობაში. მეორე მხრივ, ამ სიუჟეტის ფესვების ძიებისას აზრს მოკლებული არ იქნება სიცოცხლის ხისა და ანტიპოდური გამოსახულებების გახსენებაც. ოსტატის მიერ რელიეფისათვის აღებული სიუჟეტის „ორიგინალი“, ზუსტად მიესადაგებოდა ახალ რელიგიას და მის სიმბოლიკას, განსაკუთრებით პასუხობდა ქართული საისტორიო წყაროების მონათხრობს სიცოცხლის მომნიჭებელი ხის შესახებ, რომლის ფოთლებითაც დაჭრილი ირმები განიკურნენ. ადრექრისტიანული პერიოდის მსგავსი - ცხოველთა დაპირისპირების რელიეფური სიუჟეტები -ქვემო ქართლის ფარგლებს არ სცილდება, რაც თავისთავად სვამს კითხვის ნიშნებს. ბოლნისისა და წოფის რელიეფებში კი არა მარტო ქართლის გაქრისტიანება უნდა ვეძიოთ, არამედ ზოგადად ქრისტიანულ რელიგიასთან ზიარების წყურვილიც. ლომის წარმართული კულტის გავლენა უნდა იგრძნობოდეს სოხუმის გორიდან მომდინარე რელიეფშიც (VI-VII სს.), სადაც ჯვართან და ხართან გამოსახული ლომის წარმოდგენა ვარდულით მის მზესთან და ღვთაებასთან კავშირის მანიშნებელია.

ადრექრისტიანულ პერიოდში ლომის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში წარმართულ პერიოდში მის მძლავრ ფესვებს უკავშირდება და ეს აისახა ახალ რელიგიაშიც. ამაზე მეტყველებს წარმართული და ადრექრისტიანული პერიოდების ლომის გამოსახულებიანი სიუჟეტების ხასიათის უწყვეტობა (დიღმელაშვილი, 2010: 180).

სასულიერო პოეზიაში საინტერესოა ქრისტეს მიძინებული ლომის სახით დახატვა: „ვითარცა ლომმან მიიძინა / ცხედარსა ზედა მიწისასა / და მიწასა შინა მდებარენი / ვითარცა ძილისაგან აღადგინნა / და თჳთ აღდგა, ვითარცა ღმერთ არს“ (მინჩხი, 1987: 199).

ლომის მიყრდნობით მიძინების სურათს დაბადების წიგნშიც ვხვდებით: „ლეკჳ ლომისა იუდა, მცენარისაგან, შჳლო ჩემო, აღმოჳედ, მიწოლით დაიძინო, ვითარცა ლომმან“ (დაბ. 49, 9). ქრისტეს მიცვალების მხატვრული

გააზრება დიადი მიძინებაა ლომის ფიგურით ხორცშესხმული... ქრისტეს სიკვდილი ადამიანური სიკვდილით არაა დამთავრებული, - ისაა მიძინება, ლომის მსგავსად, რომელიც გამოღვიძებისას უფრო ძლიერ ნახტომს აკეთებს“ (იმედაშვილი, 1959: 155).

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტეში, სადაც ლომი იყო სიმბოლო ძლიერებისა, ითვლებოდა, რომ ეს ცხოველი მაშინ ფხიზლობდა, როდესაც თვალებს ხუჭავდა, ხოლო როცა ახელდა - ეძინა. ამიტომაც ლომის თავი იყო სიმბოლო სიფხიზლისა და ღვთაებრივი მფარველობისა. „ლომი არის მებრძოლი, ცხელი მზის განმასახიერებელი ცხოველი, დაკავშირებული ნაყოფიერების კულტებთან და სულეთის სამყაროსთან. ეს ნიშანი მას აღდგენად და მოკვდავ ღვთაებათა სამყაროს განაკუთვნებს... ქართულ მასალებში ლომების ანტიპოდური გამოსახულებები ძირითადად სიცოცხლის ხის მოტივებშია გავრცელებული“ (სურგულაძე, 1993: 101). მარკოზის სახარება ამახვილებს რა ყურადღებას ქრისტეს სიდიადეზე, უკავშირებს მას ფრთოსან ლომს. ლომი იყო ემბლემა იუდასი (გამოცხ. 5, 6) და იქცა როგორც სიმბოლოდ ხსნისა, ასევე სიკვდილისა, ამასთანავე დაკავშირებულია მესიასთან. ლომი ასევე გამომხატველია ღვთაებრივი ძალისა და ენერგიისა, სულიერი ყოვლისშემძლეობისა. ბუდა ეს არის ლომი ხალხთა შორის, კრიშნა და ქრისტე შედარებულები არიან ცხოველთა მეფესთან. „დღეს იორდანეს ძლევით შეჰმუსრე თავი ვეშაპისაჲ და აღმოჰჴედ მიერ, ვითარცა ლომი წერილისაებრ“ (ივანე ქონქოსის-ძჱ, 1913: 45).

ლომი არის გამოხატულება ბუნების ყველაზე დიადი და ამასთანავე საშინელი ძალისა. ის ითვლებოდა როგორც დამანგრეველად, გამანადგურებლად, ასევე მხსნელად. ამასთან ლომი გამოხატავს როგორც ბოროტებას, ასევე მასთან ბრძოლას. ბიბლიაში ეშმაკის ყოვლისმომცველი ბოროტების წარმოსაჩენად სწორედ ლომის სახეა გამოყენებული: „განიფრთხუეთ, მღჳძარე იყუენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი, ეშმაკი, ვითარცა ლომი მყჳრალი, მიმოვალს და ეძიებს ვინმცა შთანთქა“ (I კათ. ეპ. პეტრესი 5, 8).

ჰიმნოგრაფიაში ასახვა პოვა დანიელ წინასწარმეტყველის ლომების ხაროში სასწაულით ხსნის ბიბლიურმა ეპიზოდმა:

„დანიელ წინასწარმეტყველი /შთა-რაჲ-აგდეს ლომთა თანა მღჳმესა მას ბნელსა, განიპყრნა ჴელნი ღმრთისა მიმართ/

ილოცვიდა დღე და ღამე დაუდუმებლად, / რომლითა მოამდოვრა

მჴეცთა ბუნებაჲ ბოროტად მძჳნვარე“ (მინჩხი, 1987: 160).

დანიელ წინასწარმეტყველი ლომების ხაროდან იხსნა ლოცვამ და უფლის რწმენამ. თავად ხარო წარმოადგენს ბოროტების სიმბოლოს, ისევე, როგორც ვეშაპის მუცელი, ხოლო მისგან ხსნა სულიერ გათავისუფლებას მოასწავებს. „ლომების ხარო ძლიერ პიროვნებათა და მათი მხსნელი ღმერთის ნების გამოსაცდელი ადგილია, დამნაშავეთა სასტიკი წამების საშუალებაა. ლომების ულმობელი მხეცური ბუნების მოთვინიერება, ძლევა თუ დაუძლურება მხოლოდ უფალს შეუძლია. ღმერთს, რომელმაც თვითონვე შექმნა ლომი და ამ ძლიერი მხეცის ბუნებასაც ზოგჯერ თვითონაც ბაძავს შემცოდე-დამნაშავეთა დასჯისას“ (მოსია, 1997: 41).

დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ლომების მოთვინიერების ეპიზოდი ჰიმნოგრაფიაში წმინდა მამათა სულიერი სიმტკიცის, რწმენის სიღრმისა და სარწმუნოების დაცვის ასახვის დროსაც გვხვდება: „ვითარცა დანიელ პირველ ლომთა დაუყვნა პირნი ჯურღმულისა მას შინა, ეგრეთვე შენ-მწვალებელთანი დაუყვნენ პირნი სიტყჳთა მით შენითა ღმრთივ სულიერითა“ (მოდრეკილი, 1913: 202).

ბიბლიაში ლომი არის მეტაფორა-სიმბოლო განრისხებული ღმერთისა, მაცხოვრის ძლიერებისა. ამავე დროს, იგი სიმბოლოა მტაცებლის, იავარმქმნელის, ბოროტი ძალების, პირველშობილი ცოდვის, სატანის. ლომი ხშირად გამოიყენება შედარების ობიექტად. საინტერესოა, რომ სახარების თავფურცელზე დახატულ მახარებელთაგან მარკოზის სახე-სიმბოლოდ მოჩანს ლომი, მათესთან დახატულია ფრთებიანი ყმაწვილი, ლუკასთან - ხარის თავი, იოანესთან - არწივი. „საღმრთო სჯულის“ წიგნში ვკითხულობთ: „მახარებელთა ეს ოთხი სიმბოლო შეგვახსენებს ეზეკია წინასწარმეტყველის ხილვას, როცა მან დაინახა ქრუბიმნი, რომელნიც ოთხი ქვეყნიური ქმნილების: კაცის, ლომის, ხარის და არწივის სახით უგალობდნენ და ადიდებდნენ საბაოთ ღმერთს. მათ მსგავსად დღეს ოთხი მახარებელი ემსახურება ჩვენს მაცხოვარს, იესო ქრისტეს, ღმერთის ძეს, ადიდებს და ავრცელებს ქვეყნიერებაზე მის წმიდა სახარებას“.

უძლეველი ცხოველები - ლომი და ვეშაპი იმიტომ შეირჩა მეტაფორებად, რომ ამით ბიბლიის ავტორებს თუ სასულიერო მწერლებს სურდათ ეჩვენებინათ სატანის შეუპოვრობის აქტი, რომლის დათრგუნვა მხოლოდ ქრისტეს შეუძლია. ცხადია, ამით ხაზი გაესმის ძე ღმერთის ყოვლისშემძლეობას. „აბოს წამებაში“ ნათქვამია, მაცხოვარმა „მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა ჯუარისაითა მოკლა“. როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ციტატაში „ლომი“ სატანის მეტაფორაა, მისი უძლეველობის გამოხატულებაა,

რომლის მოსპობა ქრისტეს გარდა სხვა ძალას არ შეეძლო. თუმცა სასულიერო მწერლობაში შეინიშნება ლომის საპირისპირო მეტაფორად შერაცხვის მომენტიც. კერძოდ, მდინარე იორდანეში მაცხოვარმა ნათლისღებით განგმირა სატანა-ვეშაპი და იქიდან ლომივით ამოვიდა: „ხოლო დღეს იორდანეს ძლევით შეჰმუსრე თავი ვეშაპისა და აღმოჰხედ მიერ, ვითარცა ლომი“ (მოსია, 2011: 157).

აგიოგრაფიაში უფრო ხშირად ვხვდებით მაგალითს ასკეტის ზეგავლენისას ყველაზე უველურესსა და უსაშინლეს მხეცზე - ლომზე“ (კეკელიძე, 1955: 166). ამ ფაქტების გადმოცემისას აგიოგრაფები გარკვეული ტენდენციით ხელმძღვანელობდნენ, მათ სურდათ ამგვარი ფაქტებით ეჩვენებინათ სიდიადე ქრისტიანული მორალისა, რომლის მატარებელნი თითქოს მხეცებზედაც კი ახდენდნენ გავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

დიღმელაშვილი (2010): ქ. დიღმელაშვილი, ქრისტიანული სიმბოლიკა პირველ-მეოთხე ს.ს. საქართველოში, თბილისი;

იმედაშვილი (1959): გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი, კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი;

მინჩხი (1987): იოანე მინჩხის პოეზია,თბილისი;

კეკელიძე (1955): კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. მე-3, თბილისი;

მოსია (1997): ტ. მოსია, ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი, თბილისი;

მოსია (2011): ტ. მოსია, ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია, თბილისი;

ონიანი (1966): ალ. ონიანი ქართული იდიომები, თბილისი;

სახოკია (1979): თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი;

სურგულაძე (1993): ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი;

ქეგლ (1950-64): ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (8 ტომად), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი;

ძქსპ (1913): ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი;

ჯუანშერი (1955): ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი.